

1
1949



საქართველოს
Обязательный ежемесячный выпуск



გ. ფირცხალავასი

მაყურებლები მოსთქვამენ, ეროსი პუვირის: „ვაიმე!
დაგვლუბა, ჩვენმა „დინამომ“ წაგვგეთ... გავაუაიმეთ!..“

ნიანგიც ამასვე ამბობს, მათი თამაშის მხილველი:
მიმდინარე წელს ბოლოდან ხომ არ ვიქნებით პირველი?

20/1 9

5
112

ს ი უ ს ბ ი

სიღმერა სტრა მაისმა

ალამგაშლილმა მაისმა
 დღეს გამარჯვება გვანარა
 და კრემლის ბქიდან გაისმა
 სიტყვა—მტრის გულის ლახვარად,—
 მშვიდობის სიტყვა საბრძოლო,
 სიბრძნით ნაჭედი ბოლომდი,
 — იხარე დიდა სამშობლოვ,
 კეთილმა სძლია ბოროტი!

ქარიშხალს გაჰყვა ავდარი,
 ცა აღარ დაგებინდება,
 გულში მზე იყოს ჩამდგარი
 და სიმღერაში—დიდება,
 რომ ეს ხმა გამარჯვებისა
 ქუბდეს, ვით ზღვათა გუგუნნი,
 ქარს გაჰყვეს ფერფლი მტრებისა,
 შუქმა დამარხოს უკუნი,

რომ დროშა სიხლით ნანამი
 ვერ სძლიოს მუხანათობამ,
 ბრწყინავდეს ჩვენი ალამი
 მშვიდობის უქრობ მნათობად!

ს. ფაშალიშვილი

სსრკ სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების სესხზე ხელის მოწერა გადაიქცა სოციალისტური სამშობლო-სადმი მშრომელთა მგზნებარე სიყვარულისა და ერთგულების მძლავრ დემონსტრაციად.



აი პასუხი დიდ გზის ყაჩაღებს, ჩვენ აღმშენებელ შრომას ვაჩაღებთ
 ვინც გვემუქრება ომების პაქტით: და მათ პაქტებს ვსპობთ მშვიდობის ფაქტით



მოკითხვის ჩაის უპირიპის ღირაქტორს ანს. სოკრატს ქავთარაქას

დიდად პატივცემულო ამხანაგო სოკრატ!
 ნიანგს შემთხვევა მიეცა დაგიდასტუროს თავისი პატივისცემა და გულითადი მოკითხვა მოგახსენოს!

სარწმუნო წყაროებიდან შევიტყუეთ, რომ ცხენოსნობის სხვადასხვა სახე: დოლი, მარუდა, ისინდი, ჯირითი და მრავალი ასეთი, გულით გყვარებით. შესანიშნავია, პატივცემულო სოკრატ, ამის საწინააღმდეგო რა უნდა გვქონდეს. მაგრამ აღბათ თქვენც კარგად მოგეხსენებათ, რომ მხედარს სხვა სასარგებლო საქმიანობაც არ უნდა ავიწყებოდეს! მაგალითად, ვერაფერი მოსალოცი მოვლენა იქნებოდა, რომ თქვენდამი რწმუნებული ფაბრიკის კორპუსებში მუდმივად, ყოველგვარი ვენტილაციის გარეშე ჩაის მტვერი იდგეს და ჭერში რიტმულად აბლაბულები ქანაობდნენ.

ეს კი სწორედ ასე და მხოლოდ ასეა თქვენს ფაბრიკაში და ჯირითის დროს ამისთანა წვრილმანს როგორ შეამჩნევდით? დაგვეთანხმებით, რომ ჩაის სათუთად მოსავედელი რამ არის და უალერესად დიდ სანიტარულ პირობებს მოითხოვს. თქვენ ეს მხედველობიდან გამოგრჩენიათ, თორემ სხვანაირად როგორ აიხსნებოდა ის გარემოება, რომ თქვენი სანუკვარო ოჩანისათვის კორპუსის გვერდით საჭინაბო მოგიწყვიათ, მტვერითა და ჩერქით გაგივსიათ ფაბრიკის კარმიდამო.

რა ბრძანეთ? ცხენს სახლში ხომ არ წავეყვან, ფაბრიკისაა, ჩემი კი არ არისო? მშვენიერი თავის მართლებაა, როგორ შეგედავებით: ცხენს სულაც არ უყვარს სახლში ნებივრად ნოსხე წამოგორება, და თქვენი ლოგიკის მიხედვით კი სადაც ცხენია იქ უსუფთაობაც უნდა იყოს, მაგრამ ასეთ ლოგიკას რომ გავყვეთ, აი, რა მოხდებოდა:

წალენჯიხის ჩაის ფაბრიკამ გამოიმუშავა 16 ტონა მყავე, ყოველდ უხარისხო ჩაი. ხომ შეეძლო, რომ ფაბრიკის დირექტორს ამს. **ჯალალანის** ეთქვა: „ჩაი ჩემი ხომ არ არის, სახელმწიფოსია, რად გამოვიდა ცუდი ხარისხის, მე რა შუაში ვარო?..“

ლანჩუთის ჩაის ფაბრიკის დირექტორმა ამს. ცინცაბაძემ ირკუტსკის ჩაის ფაბრიკას საბოლოო დამუშავებისათვის გაუგზავნა 3600 კილოგრამი, ხოლო თბილისის ფაბრიკას გამოუგზავნა 12 ტონა ჩაი. ამ გადასამუშავებელ პროდუქტიაში იმდენი ხრეში და ცემენტის ნარევი აღმოჩნდა, რომ მის გასაზიდად და გადასაყრელად რამდენიმე ურემი დასჭირდათ. თქვენის აზრით, ამს. ცინცაბაძესაც შეუძლია რომ სთქვას: „რა ჩემი ბრალია, ხრეში და ცემენტი სახლიდან ხომ არ მომიტანიაო?..“

ამ შემთხვევასაც თავი რომ დავანებოთ, ყველამ კარგად იცის ერთი გარემოება: **ნაბაკევის ჩაის ფაბრიკის დირექტორს ამს. გურალიას** თხილის ბალები არა აქვს, არაფითარ დამოკიდებულებაში არ იმყოფება მინის არც ერთ ქარხანასთან, მაგრამ მის მიერ ირკუტსკის ჩაის ფაბრიკაში გაგზავნილ 28 ყუთ ჩაიში იმდენი თხილის ნაჭუჭი და მინის ნამსხვრევები აღმოჩნდა, რომ პირველი ოც მშიერ ციყვს გაართობდა, ხოლო მეორე—რამდენიმე შუშბანდს ეყოფოდა ჩასასმელად.

თქვენი „ლოგიკით“ გამოდის, რომ ამს. გურალიაც მართალია. მაგრამ ჩვენი კეთილი რჩევა იქნება თავი დაანებოთ თავის მართლებას და შექმნათ ფაბრიკაში ნორმალური სანიტარული პირობები, აგრეთვე სასწრაფოდ წააბრძანოთ ფაბრიკის ტერიტორიიდან თქვენი ქურანი.

თუმცა... ბევრი გაგრძელება რაღა საჭიროა? გვერიდება თავი არ შივანყინოთ.

თქვენი კეთილის მსურველი:





დასავლეთ გერმანიაში, სადაც ამერიკელი, ინგლისელი და ფრანგი ოკუპანტები ბატონობენ, ყოველდღიურ წვრილმანებშიც კი გამოსკვივის აგრესორთა მტაცებლური სულისკვეთება. ქალაქის ქუჩებში, შავ ბაზრებზე, ბირებზე დაუსრულებლივ დაფუსფუსებენ „იოლი საშოვარისათვის“ იმპორტირებული ბნელი საქმოსნები.

ამერიკიდან ჩამოსული ჩარჩები და განგსტერები, რომელნიც მრავალ შემთხვევაში სამხედრო ფორმაშიც კი არიან გამოწყობილნი, ან მოხელის ტანსაცმელს ატარებენ, მოხერხებული სპეკულაციის საშუალებით სძარცვვენ მოსახლეობას, აპარტახებენ მათ ქონებას, დაუსრულებელი ამანათებით გააქვთ ნაძარცვი თუ ჩალის ფასად ნაშოგენი ფასეულობანი, კულტურული ძეგლები და იზვიათობად ქცეული ხელოვნების ნიმუშები.


ამას გარდა, ოკუპანტ ხელისუფალთა ხელისშეწყობითა და მონაწილეობით ეწყობა „ცოცხალი საქონლის ექსპორტი“. დასავლეთ გერმანიიდან ასეთი ექსპორტის ორგანიზაცია უკვე ჩვეულებრივ კომერციულ მოვლენად ითვლება, რისთვისაც სპეციალური სააგენტოებიც კი ჩამოაყალიბეს.

გერმანულ საპატარძლოების ექსპორტი

ინგლისელ-ამერიკელთა სპეციალური კომერციული სააგენტო „ჯეია“ განუწყვეტლივ გზავნის ამერიკასა და არგენტინაში არა მარტო ქვანახშირს, ლითონის ნამტკრვესა და ხეტყეს, არამედ მონურ პირობებში ჩაყენებულ ტექნიკურ სპეციალისტებსა და „საპატარძლოებსაც“.

რამდენიმე თვის წინ, „ჯეიას“ სააგენტომ არგენტინაში გაგზავნა ტექნიკოს სპეციალისტების ჯგუფი და ამ კომერციულ ოპერაციაში 600 ათასი დოლარი მოიგო.

ამის შემდეგ „ჯეიას“ ფირმამ ჩილის მთავრობასთან ხელშეკრულება დასდო მაღალ სადოლარო ფასებში გერმანულ საპატარძლოების „მიწოდების“ შესახებ, რადგან ჩილში თურმე მამაკაცების რიცხვი სჭარბობს ქალების რიცხვს.



ჰიტლერული დროშა დაეხმარა

რურის ოლქში დააპატიმრეს ქალაქ ბოხუმის მცხოვრები ვინმე ფრაუ ბუში, რომელსაც ბრალად ედებოდა ნაცისტური პროპაგანდა. ბუში დააპატიმრეს იმის გამო, რომ თავისი სახლის აივანზე მან სვასტიკიანი ფაშისტური ალამი გამოჰფინა. მისი საქმე გადაეცა ინგლისელების სასამართლოს, რომელმაც ფრაუ ბუშს ლმობიერად მოსთხოვა ახსნა-განმარტება.

—არ მესმის, რა დანაშაულისთვის მასამართლებთ?—სერიოზულად უსაყვედურა ფაშისტმა ქალბატონმა,—მე სვასტიკიანი ალამი გავრეცხე და აივანზე გასაშრობად გამოვფინე, უსუფთაო ალამს ხომ არ შეეინახავდი სახლში?

ამ „დასაბუთებამ“ გული მოუღბო ინგლისის საოკუპაციო ზონის მოსამართლეს და გაათავისუფლა ფრაუ ბუში იმ მოტივით, რომ მართლაც არ შეიძლება ჰიტლერული ალამის უსუფთაოდ შენახვა.

კვერცხების ფასი

დასავლეთ გერმანიაში განუკითხავი სპეკულაცია სწარმოებს პროდუქტებზე. ყველა ვაჭარს უფლება აქვს დღეში ათმაგად გაადიდოს ფასები თავისი შეხედულებისამებრ. ამის შედეგად, ხშირად კვერცხი ქათმის ფასად იყიდება.

ამას წინათ, ჰამბურგში გერმანელმა დიასახლისებმა რამდენიმე სასურსათო მაღაზიის დარბევა მოაწყვეს. აღშფოთებულმა დიასახლისებმა მაღაზიიდან გამოათრიეს მოვაჭრე, რომელიც გაუგონარ ფასებში ჰყიდდა კვერცხებს. იგი შეიმწყვდიეს ექვსსართულიანი შენობის შესასვლელში და მოსთხოვეს ფასის დაკლება. მოვაჭრემ პირველ სართულზე ასვლის შემდეგ ფასი ცოტათი დაუკლო. დიასახლისებმა კვლავ შეუტყეს სპეკულანტს, რომელიც ყოველ სართულზე ასვლისას ნაწილ-ნაწილად უკლებდა ფასს.

დიასახლისებმა იმდენხანს სდიეს და ფასის დაკლება იმდენხანს გაგრძელდა, რომ მხოლოდ მეექვსე სართულზე ასვლის შემდეგ ვაყიდა სპეკულანტმა კვერცხები ნორმალურ ფასად.


ი. ზოგორკალი

ბერლინი—თბილისი



ამერიკაში სამედიცინო მომსახურების არაჩვეულებრივი სიძვირის გამო, უბრალო ადამიანები ფაქტიურად მოკლებული არიან მეურნეობას.

ნახ. გ. ფირცხალავანი



— თქვენ ხახხრების სერიოზული დაავადება გაქვთ, კურორტზე უნდა წახვიდეთ!

— სამწუხაროდ, ვერ წავალ, ექიმო, ხახხრები მიშლის!

დიასახლისის შრომა ოჯახში წმირად არ ფასდება. მამაკაცი ვერ ვერძობს იმ დიდ ზრუნვას, რასაც მისი ცოლი განუწყვეტლივ ეწევა...

მარტოდ დავრჩი სახლში. ვიფიქრე ახლა კი დასვენებულად ვიმუშავებ მეთქი და მართლაც შაბათს შუალაშემდე ვიმუშაობდი. გვიან ჩამეძინა...

დილით, ის თყო მუშაობას შევედგე, რომ ვილაცამ კარებზე დააკაუნა.

— რა გნებავთ? — შევეკითხე მეზობლის ბავშვს.

— იდეალურ, აბლაბულის ჩამოსაწმენდი გრძელტარაიანი ჩოთქი მათხოვეო. — როგორც იქნა მივაგენი კარადის უკან გადასაღულ გრძელტარაიან ჩოთქს.

ათიოდე წუთის შემდეგ კვლავ გაისმა კარებზე ზრახუნი. ჩოთქი უკანვე გადმომცეს დიდის მადლობით. ისევ დამერღვა ვაივავლახით აწყობილი ახრი.

სახლში არაფერი მეგულვებოდა და იმ მზარეულის რესტორანში ვისადილე, რის შედეგადაც კინალამ მეც სასწრაფო დახმარება დამჭირდა.

მეხი

გ. ბერკენიშვილი

საკოლმეურნეო სცენები

გაზაფხული

(კოლმეურნეობა „ჩვენი დოვლათის“ შენობაში საერთო კრება მიმდინარეობს. შენობიდან გამოდიან კოლმეურნეები თომა და ხალამპრე.)

თომა — უჰ, როგორ ცხელა! შენც დაგცხა, ხალამპრე?
ხალამპრე — აბა!
თომა — მაშინ ბარნაბს რალა ეშველება?! არა, ხედავ გაიოზმა რა ამბები დაატრიალა?!
ხალამპრე — ჭკვიანი ბიჭი დაგვიბრუნდა.
თომა — ჭკვიანია, ჭკვიანი! თმში კი არა, ვითომ სასწავლებელში ყოფილიყოს. ბარნაბს თავდაყირა არ დაუყენა მთელი გეგმები! პარტიბუროს მდივანიც რომ მხარს უჭერს!

შეგოდგომა


(სიმინდით სასვე გოდორმოკიდებული შემოდის ხალამპრე, შეჩერდება.)
ხალამპრე — მაშინაც ამ ახრის ვიყავი და ახლაც ვამბობ. გაგვგობა არ შემცდარა ვაიოზის პარტიზანში. ხედავ, ნაჭობარზე რა ხვითო ამოსკდა? (საწყობისკენ მიდის.)
თომა — (საწყობიდან გამოდის. ყარამანი გოდორსა სწნავს) ყარამანი, რა ჭქენი?
ყარამანი — ამასაც მოვრიხი.
თომა — შენ კი მოვრიხი, მაგრამ მე რა მეშველებდი რაც საწყობში დამაყენეს...
ყარამანი — გამგე კაცი ჭქვია!
თომა — გამგელებულმა ვიარო თუ გატყუებდე, ვფიქრობდი დავისვენებ მეთქი. ისე მტერმა დაისვენოს. დამჯდარი ლაპარაკი მენატრება. მაინც რა ქნა წყლს ჩვენმა მიწამ, ა?! რა ყოფილა ვის ნაჭობარი! ამისთანა მოსავალს თუ მოგვეცემდა ეს იფიქრებდნენ, ამას თუ მოვესწრებოდი ალარ მეგონა. საწყობიდან ვერ გამოვსულვარ, მოდის და მოდის მოსავალი. ხედავ გაიოზი რა ყოფილა?!
ყარამანი — მარჯვე კაცია, მარჯვე.
თომა — (ჩამოჯდებოდა ტყის მიწაზე) ყარამანი, ახალი ამბები გაიგე?
ყარამანი — რა ამბავი?
თომა — საზღვარგარეთ, ვილატეები ისევ ომს აპირებენო.
ყარამანი — ნუ გეშინია.
თომა — ატომის ბომბის შესახებ ხომ იცი?
ყარამანი — ვიცი.
თომა — საშინელი ძლიერი რაღაც ყოფილა.
ყარამანი — ყველაზე ძლიერი კაცის გულია, თომა, სიმართლით სასვე გული, რომლის წინააღმდეგ ჯერ იარაღი არ გამოგონილა. ასეთი გული კი მხოლოდ ჩვენა გვაქვს. (ისმის ძახილი: თომა! თომა!)
თომა — ა! ერთი წუთით საწყობის კარი მიგხურე და... ხედავ მოაკვთ და მოაკვთ. მართალი ხარ,

ყარამანი. ასეთი ხალხის წინააღმდეგ იარაღი ვერ გასტრის.
(ხმები) — თომა! თომა!
თომა — მოვდივარ! მოვდივარ! ჩემი თავი გენაცვალთ!

ფ ა რ დ ა

ჩანგაღმა გასტრა

თბილისის თამბაქოს ფაბრიკების მიერ გამოშვებულ ზოგი მარკის პაპიროსებში მრავალი დეფექტები გვხვდება, რაც მომხმარებელთა სამართლიან საჩივრებს იწვევს.
ეს დაუდევრობა ამხილა „ნიანგმა“ ა.წ. მე-5 ნომერში და მოითხოვა „საქთამბაქოს“ ტრესტის ხელმძღვანელობისგან აღნიშნული წუნის აღსაკვეთად საჭირო ზომების მიღება.
ტრესტ „საქთამბაქოს“ მმართველის მოვალეობის აღმასრულებელი ამხ. კალანდრა გვაცნობებს: „ნიანგის“ მიერ მხილებული ფაქტების აღმოსაფხვრელად თბ. თამბაქოს ფაბრიკებში მიღებული პრაქტიკული ზომები, რის შედეგადაც უკანასკნელ ხანებში საგრძნობლად გაუმჯობესდა პროდუქციის ხარისხი.
ამჟამად თამბაქოს ფაბრიკებში ფართოდ არის გაშლილი სოციალისტური შეჯიბრება პროდუქციის ხარისხის ასამაღლებლად.



ნახ. ღონისა

კრიტიკოსნი: აი, მესმის ღარტყმა!

უსნაუკია, მაგამ ზაჰვია

აგავს მინ
მითხანს?

— ბავშვის ფეხსაცმელი გაქვთ?
— რამდენიც გნებავთ!— და გამყიდველმა ხუთიოდე წყვილი საბავშვო ფეხსაცმელი გადმომიღა.

— ეს რეზინის ძირებზეა, ტყავის არა გაქვთ?
— როგორ არა გვაქვს!
— მეტი ნომერი არა გაქვთ? 27 ნომერი არ მოუვა.

— რამდენი წლისაა ეგ თქვენი გოგონა?
— ათის გახლავთ.
— როგორ არ მოუვა! მე, აგერ ოცდათერთამეტი წლისა ვარ და ოცდაათხმეტი ნომერი მრგებს.

— ჩემი ამბავი მე უკეთესად ვიცი, — გულნატყენად მიუგებს ბავშვი, რომელსაც მამასთან ერთად თითქმის ყველა მაღაზია შემოუვლია, მაგრამ მისთვის საჭირო ნომრის ტუფლები ვერ უშოვნია.

— მაშ რომელი ნომერი გინდათ?
— ოცდათერთმეტი.
— მაგისთანა ნომერს ტყავისას, ფეხსაცმელების ფაბრიკა არ უშვებს.

— რატომ?
— პატარა ნომრებს ტყავის ნარჩენებისგან ჰკერავენ, მოზრდილი ნომრის შეკერვა კი მოზრდილ ნაჭერს მოითხოვს და, მოგეხსენებათ, ფაბრიკა ზარალს ერიდება ..

— რატომ სირცხვილს არ ერიდება?
— სირცხვილით, ჩვენ ვრცხვებით, ბატონო, გამყიდველები, თორემ ფაბრიკის დირექტორმა რაიცის, რომ მომხმარებლები ემდურებიან, ამბავს ვინ მიუტანს?
— ნიანგი მიუტანს.

ხანახშირელი

ჩვენი ახალ
კითხვით

გახაფხულმა ააშრო თოვლის ნაღობი. ასე გასინჯეთ, საბურთალოს მთავარ ქუჩაზედაც კი სარწყავები გამოჩნდა, მეგზოვები წყალს ასხურებენ, რომ ცოცხმა მტვერი არ ააყენოს. მაგრამ ეს ოპერაცია არ ეხება თვით საბურთალოს ქუჩას: აქ მტვერი საიდან გაჩნდება. როცა ტბორსა და ძანძახს დაუფარავს ქუჩა?

გვინდა წარმოგიდგინოთ ერთი ჩვეულებრივი სურათი: აი, გამოიქროლა კრიალა მანქანამ, შეუხვია საბურთალოს ქუჩისკენ და ტალახში ჩაეფლო. შოფერთან ცხარე დიალოგის შემდეგ მანქანიდან გადმოვიდა რაისაბჭოს კომგანის პასუხისმგებელი მუშაკი და მანქანას მიაწვა, სამშვიდობოს გასაყვანად

ამ „ოპერაციიდან“ არაფერი გამოვიდა იმის გარდა, რომ თვით პასუხისმგებელი მუშაკი ჩურჩხელასავით ამოეფლო ტალახში და ბუზღუნით სთქვა:

— ნეტავ საკუთარი ხელით მაინც არ დამეწეროს მეათე დასკვნა ამ ქუჩის კეთილმოწყობის შესახებ. რას გავს ეს! ..

ჩვენც ამას ვკითხულობთ: მართლაც რას გავს ეს ქუჩა?
ა. ხხვაველი, ვ. წოწონელიძე

კავშირის სახლი

გთხოვთ გვიცნობდე: გვიშტიბელები გახლავართ. ეს სოფელი წყალტუბოს რაიონში მდებარეობს და მისგან რამდენიმე კილომეტრითაა დაშორებული. გვიშტიბს, როგორც იტყვიან, „ყურისძირში“ აქვს რკ. გზ. სადგური თერნალი, მაგრამ აქაურები ვსარგებლობთ მხოლოდ და მხოლოდ წყალტუბოს სადგურით.

არ გაგიკვირდეს, პატივცემულო ნიანგო, მიუხედავად ხალხად არ ჩავთვალთ: ორ ნაბიჯზე სადგური ჰქონიათ — კილომეტრებს რას დადიანო?

ეს პატარა „ობიექტური მიზეზის“ გამო გვემართება:

სადგურ თერნალს და გვიშტიბს შუაზე ჰყოფს მდინარე წყალტუბო, რომელზედაც ხილად გადებულია ერთი ცალი რელსი. მასზე გავლა აკრობატს თუ შეუძლიან და მოგეხსენება — გვიშტიბელები აკრობატები არ გახლავართ. სულ ადვილად ეშველებოდა ამ საქმეს, რომ იმ რელსის გვერდით მეორე რელსიც გაედოთ და ბოგირი გაეკეთებინათ.

— ეგ თქვენი სოფსაბჭოს თავმჯდომარის დაუდევრობის ბრალიაო იტყვი.

სწორედ რომ ასეა, პატივცემულო ნიანგო, ჩვენც იმიტომ მოგმართავთ, რომ ცოტათი შეგვიხუროთ თავმჯდომარე და „ობიექტური მიზეზების“ მომიზეზებაზე ხელი ააღებინო.

ნ. გვიშტიბელი



საყვარელო ნიანგო!

მითიურ ტანტალს, საკვები გარშემო რომ ჰქონდა და მაინც საქმელი ენატრებოდა — ისეა ლაგოდების აბანოს საქმეც: გაგეგონება — ლაგოდებში წყალი აუარებელია, ტყეები გარს აკრავს, არც სხვა სახის სათბობია უშოვარი.

ჩვენს საცოდავ აბანოს კი ხან წყალი აკლია, ხან შვეს არ აღირსებენ, ხან შუქი ენატრება და მისი უყისმათობით იტანჯებიან მომხმარებლები.

თუ რემონტზე მიდგა საქმე, მაშინ ხომ მშვიდობით ჩვენო აბანო! ერთი კვირის საქმეს თვე დასჭირდება, თვეს თვეები მიემატება და მოსთქვამს... ბოქლომდადებული აბანო კი არა, ყველა ის, ვისაც კი შეუძლიან აღშფოთდეს ჩვენი კომგანყოფილების მოუქნელობით.

დაგვეხმარე, საყვარელო ნიანგო!

კაბლელი

ამხანაგო ნიანგო!

ალბათ ბუნების წყალობას მიეწერება, რომ ცხაკაიას რკინიგზის სადგურის ტერიტორიაზე ნალექების დაუსრულებელი მარაგი მოიპოვება. რა თქმა უნდა, ამ „მარაგში“ წუმბე-ტალახი უნდა იგულისხმოს, მაგრამ გულუბრყვილობად ჩაგეთვლება თუ იმასაც გულისხმობ, რომ სადგურის ადმინისტრაცია თითის განძრევით მაინც იწუხებს თავს ამ „სტიქიური უბედურებისაგან“ მგზავრების დასაცავად.

შენ რომ თავს გაიმეტებდე და სადგურ ცხაკაიაში ჩამოხვიდოდე, დიახაც საინტერესო სცენებს წააწყდებოდი: დაინახავდი თუ ლიანდაგებს შუა დამდგარ გუბეებში როგორ ყრიან აგურებს, ბელტებსა თუ ფიცრებს, რომ ფეხის დადგმა მოახერხონ და „ნაპირზე“ გასვლა გაიადვილონ. იმასაც ნახავდი — ამ გაწამაწამიაში რამდენს უცდება ფეხი და უნებურ აბაზანას ღებულობს.

ეს განსაკუთრებით ღამით ხდება, როცა ადმინისტრაციას „ავიწყდება“ გააშუქოს აქაურობა და იმდენი კაიდლე მას მიემატოს, რამდენ საყვედურსა და აღშფოთებას უგზავნიან აქაურები.

— განა რა ძნელი საქმეა გუბეების დაშრობა, ლიანდაგების გაწმენდა და გაშუქება? — შეგვეკითხები.

— სრულებითაც არ არის ეს ძნელი საქმე, ამხანაგო ნიანგო, მაგრამ საქმეს ხომ თავი უნდა?

კრაზანაძე

47-112
საქართველოს
საბჭოთაო
საზოგადოებრივი
სადასრულებელი
სამსახური



— რა მშვენიერი თაიგულია, რა საჭმური სუნი უდის!

სარედაქციო კომპოზიცია: გრ. აბაშიძე (პ. მგ. რედაქტორი), აკ. ბელაშვილი, ი. გრიშაშვილი, უ. ჯაფარიძე, კ. კალაძე, ი. ნონეშვილი (პ. მგ. რედაქტორის მოადგილე), ს. ფაშალიშვილი.

თბილისი. სატირიკო-იუმორისტული ჟურნალი „ნიანგი“. რედაქციის მისამართი: ლენინის ქ. № 14. ტელ. 3-10-49

ხელმოწ. დასაბ. 1949 წ. 10/V. ტექსტი აწუობილია ლ. პ. ბერიას სახ. პოლიგრაფკომბინატ „კომუნისტის“ სტამბაში, შვე. № 571. ლენინის ქ. № 14. დაბეჭდილია სტამბა „ზარია ვოსტოკას“ იფსეტმანქანაზე, შვე. № 1076. თბილისი, რუსთაველის გამზ. № 42. გამოც. № 63. ტირ. 7600 უფ 01857